ქ. თბილისში ქარელის ქ. №25-ში
მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის
კონსტრუქციული ნაწილის
საექსპერტო დასკვნა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, რომელიც დამუშავებულია შპს „მშენებლობა პლიუს პროფესიონალიზმი"-ს მიერ.

ინჟ. კონსტრუქტორები: ტ.ზაკუტაშვილი
ი.ბოჭორიშვილი
ზ.კაპანაძე

შენობა ცხრა სართულიანია, სარდაფით, გაბარიტებია 18.0x25.0მ.

პირველი სართულის ±0.00 ნიშნული შეესაბამება 510.70 აბსოლიტურ ნიშნულს. სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით, ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას. ქარის ნორმატიული დაწოლა 500პა; თოვლის დატვირთვა 700პა.

შენობის სართულიანობის და საინჟინრო პირობების გათვალისწინებით, სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება მე-2 (საშუალო) კატეგორიას.

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნის შესაბამისად, შენობა დაფუძნებულია ძირითად (კლდოვან) ქანებზე (არგელიტების, თიხაფიქლების და ქვიშაქვების მორიგეობით).

№5 ცხრილის მონაცემებით, ქვიშაქვებისათვის ერთღერძა კუმშვისას სიმტკიცის ზღვარი მშრალ მდგომარეობაში იცვლება 318-464კგ.ძ/სმ²-ის ფარგლებში, $R_{cსაშ}$=413კგ.ძ/სმ²; წყალგაჯერებულ მდგომარეობაში ქვიშაქვების R_c-ს მნიშვნელობა იცვლება 193-232კგ.ძ/სმ²-ის ფარგლებში, $R_{cსაშ}$=220კგ.ძ/სმ².

შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია რკ.ბეტონის კარკასულ ვარიანტში. შენობის საძირკველი წარმოადგენს არმირებულ ფილას h=80სმ. მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს მონოლითური ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცული სისტემა. შენობის ვერტიკალური სიხისტე იქმნება დიაფრაგმების მეშვეობით, რომლის სისქე ძირითადად 30სმ-ია.

შენობის მზიდი კონსტრუქციების, როგორც ერთიანი სივრცული სიტემის გაანგარიშება მუდმივ და დროებით ვერტიკალურ დატვირთვებზე, აგრეთვე ჰორიზონტალურ 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე და ქარის საანგარიშო

დატვირთვაზე, ჩატარებულია საანგარიშო კომპლექსი „ლირა 9.0“-ის საშუალებით. გაანგარიშების შედეგები მეტყველებენ კონსტრუქციული სისტემის ვარგისიანობაზე.

შენობის: სვეტები – რკ.ბეტონის მონოლითური კვ. 60x60სმ, 50x50სმ, 40x40სმ.

რიგელები - რკ. ბეტონის მონოლითური კვ. 20x50სმ, 30x50სმ, 40x50სმ (ძირითადად).

სართულშუა გადახურვის ფილა – რკ.ბეტონის მონოლითური h=20სმ.

კიბე - რკ. ბეტონის მონოლითური.

გადახურვა - ბრტყელი.

სარდაფის კედლები მონოლითური რკ. ბეტონის (h=30სმ), რომლებიც შეხებაშია გრუნტთან, დაიფარება ჰიდროიზოლაციით.

გარე, ბინათშორისი კედლები, აგრეთვე ტიხრები, ეწყობა მსუბუქი შემავსებლებით, პერლიტზე დამზადებული საკედლე ბლოკებით ან მუყაო-თაბაშირის პანელებით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ გვაქვს მცირედი შენიშვნები:

1. განმარტებით ბარათში არ არის მითითებული მშენებლობის პროცესის თანმიმდევრობა, კონტროლი ცემენტის მარკირებაზე, ვიბრირებასა და დაბეტონების ხარისხზე, შრობის პროცესზე.

2. სასურველია წვრილი შემავსებლების, მზიდ კონსტრუქციებთან დაკავშირების კვანძი დატანილ იქნას ნახაზზე.

3. შესწორდეს ფურცელი კ-97 და კ-107-ზე მექანიკური შეცდომა ▼3.30-ის ნაცვლად უნდა იყოს ▼-3.30.

დასკვნა: ძირითადად პროექტი დამუშავებულია კვალიფიციურად, პროფესიულ დონეზე. საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. მიუხედავად მცირე შენიშვნებისა, პროექტს ეძლევა რეკომენდაცია დასამტკიცებლად.

ექსპერტი:

ინჟინერ-კონსტრუქტორი,

დოქტორი: ვაშაკიძე

შპს „ინჟსერვისი-07“-ის

დირექტორი: ვ. ძაგანია

CV

გვარი	ჯაშაკიძე
სახელი	ჯემბერი
მამის სახელი	აბესალომის-ძე
დაბადების თარიღი	31 აგვისტო, 1963 წ.
ეროვნება	ქართველი
ოჯახური მდგომარეობა	დაოჯახებული
მისამართი	საქართველო, თბილისი, კრწანისის ქუჩა №53;
ტელეფონი	სახ. +99532 72 06 34, მობ: +99593 28 34 58;
mail	bidza-111@Mail.Ru

ენები	საუბარი	კითხვა	წერა
მშობლიური ენა - ქართული	სრულყოფილად	სრულყოფილად	სრულყოფილად
რუსული	სრულყოფილად	დამაკმაყოფილებელი	დამაკმაყოფილებელი
გერმანული	დამაკმაყოფილებელი	დამაკმაყოფილებელი	დამაკმაყოფილებელი

განათლება

1981-86 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი,
სპეციალობით: „ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები“

დიპლომი ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია (ხიდები და სატრანსპორტო გვირაბები)
წარჩინებით,

სამუშაო გამოცდილება:

1986 „თბილ. ზნიეპი“
ინჟინერი

1987 „თბილგვირაბმშენი“
კონსტრუქტორი

1988 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი „ხიდებისა და გვირაბების“კათედრა
კონსტრუქტორი, ლაბორანტი, ლაბორატორიის გამგე

2007 შ.პ.ს. „უჩქენ ჯორჯია“
სასტუმრო „ივერია”-ს მშენებლობის მთავარი ინჟინერი. დღემდე

1987-88 თბილგვირაბმშენი“
საბურთალოს ხაზზე მეტროპოლიტენის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

2002 ” საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, “ხიდებისა და გვირაბების კათედრა
ქ. თბილისში რკინიგზის სადგურის პანდუსის გამოცდა-გაანგარიშება
მეცნიერ-თანამშრომელი

2006 შ.პ.ს. ლიბო +
ქ. თბილისში კრწანისი პალასის საავტომობილო პანდუსის პროექტის ავტორი

2006 შ.პ.ს. „ კიდ-არქიტექტურა”
„ვილა ბაკურიანი” და ბაკურიანში სასტუმროს რეკონსტრუქცია კონსტრუქტორი

2006 **საპროექტო-სამშენებლო კომპანია “იმპულსი“**
პროფ. თოდუას სახელობის სამედიცინო-რადიოლოგიის ინსტიტუტის დაპროექტება, პროექტის ავტორი
პროექტის ავტორი, მთავარი კონსტრუქტორი

2007 შ.პ.ს. „აქსისი“ დეველოპმენტი
რიყის გვირაბის პროექტის ავტორი

2008 შ.პ.ს. „უჩქენ ჯორჯია“
სასტუმრო „ივერია”-ს ცალკეული კონსტრუქციების, კერძოდ: რიგელების გაძლიერება, ლითონის გადახურვის კონსტრუქციების, საძირკვლის 800 მმ-იანი ხიმინჯის, რკინაბეტონის ფილის, საყრდენი კედლების, პანორამული ლიფტის ფასადის ლითონის კონსტრუქციების გაანგარიშება-დაპროექტება.

2008 წლის 16 დეკემბერი **სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე**
დაიცვა დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე: „არაწრიული მოხაზულობის სამაგრის გაანგარიშება სატრანსპორტო გვირაბების აგების ტექნოლოგიის გათვალისწინებით”.

2007 წლიდან შპს „ინჟსერვისი-07“ - ინჟინერ-კონსტრუქტორი (შეთავსებით).

2007-2009 წლიდან აქტიურად მონაწილეობს მრავალფუნქციური და საცხოვრებელი სახლების პროექტების კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზაში.
მრავალბინიანი საცხ. სახლი ჩხეიძის ქ. №10-ში
მრავალბინიანი საცხ. სახლი ჯიქიას ქ. №9-ში
მრავალბინიანი საცხ. სახლი ყიფშიძის ქ. №9-ის მიმდებარედ
მრავალბინიანი საცხ. სახლი ცხვედაძის ქ. №58-ში
მრავალბინიანი საცხ. სახლი დელისის №3 საბაგირო გზის მიმდებარედ
სოფელ გონიოში მრავალფუნქციური საცხ. სახლი, ნაკვეთი №293
ქ. თბილისში თარხნიშვილის ჩიხი №7-9 მრავალბინიანი საცხ. სახლი
ქ. ბათუმში პუშკინის ქ. №35-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
ქ. თბილისში წერეთლის გამზირი №27-ში მრავალბინიანი საცხ. სახლი

გამოქვეყნებული შრომები 8 სამეცნიერო ნაშრომი
კოხფერენციებისა და პრაქტიკული სემინარების მონაწილე

ინჟინერ-კონსტრუქტორი, დოქტორი: /ვაშაკიძე/

შპს „ინჟსერვისი-07“-ის დირექტორი: /ძაგანია/

...რთი

...თბილისი კრწანისის ქ№53

...ბის გამცემი ორგანოს დასახელება

...ბილისის მთაწმინდა კრწანისის I-გან

მოქმედების ვადა

...ს თარიღი

20 10 2004 20 10 2014

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა



პირადი № 01015020228

სახელი ჯუმბერ

გვარი ვაშაკიძე

დაბადების თარიღი 31 07 1963

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება -----

პირადი ხელმოწერა

№ გ 0586860

დიპლომი

წარჩინებით

ИВ № 258114

ეს დიპლომი მიეცა ჯუმბერ აბესალომის ძე ვაშაკიძეს

მასზე, რომ იგი 1981 წელს შევიდა საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1986 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ხიდები და გვირაბები

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1986 წ. " " დადგენილებით ჯ.ა. ვაშაკიძეს მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ბ. ა.

" 31 " XII

ქალაქი თბილისი

სარეგისტრაციო № 4879

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 258114

Настоящий диплом выдан Вашакидзе Джумберу Абесаломовичу

в том, что он в 1981 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1986 году окончил полный курс названного института

по специальности мосты и тоннели

Решением Государственной экзаменационной комиссии от ... 1986 г.

Вашакидзе Д.А.

присвоена квалификация инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П. Город Тбилиси "31" XII 1986 г.

Регистрационный № 4879

Московская типография Гознака. 1981.

ING SERVICE -07
ინჟსერვისი-07

შპს "ინჟსერვისი-07"

ქ. თბილისი

25 ივნისი 2011 წელი

ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულებას დებენ საპროექტო-საინჟინრო სამუშაოების შესახებ ერთის მხრივ, შპს "ინჟსერვისი-07", ს/კ-204534021 მისი დირექტორის ვაჟა ძაგანიას სახით (შემდგომში – "შემსრულებელი"), და მეორეს მხრივ შპს „მშენებლობა პლუს პროფესიონალიზმი", ს/კ-205082550. დირექტორი აკაკი მოსაშვილი (შემდგომში "დამკვეთი").

1. <u>ხელშეკრულების საგანი</u>

შემსრულებელი, დამკვეთის წინასწარი წერილობითი დავალებით შეასრულებს ქ. თბილისში, ქარელის ქ. № 25 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული პროექტის ექსპერტიზა.

ხელშეკრულებით განსაზღრული სამუშაოების ღირებულება განისაზღვროს 700 (შვიდასი) ლარით.

2. <u>შემსრულებლის მოვალეობები</u>

შემსრულებელი მოვალეა შეასრულოს სრული საპროექტო სამუშაოები არსებული კანონმდებლობის, ნორმების და წესების მიხედვით. პროექტის სრული პაკეტი წარუდგინოს დამკვეთს არაუგვიანეს 2011 წლის 05 ივლისს.

3. დამკვეთის მოვალეობები

პროექტის მიღება მოახდინოს მიღება-ჩაბარების აქტით, ან კონტრაქტის მოქმედების დასრულებიდან ხუთი დღის განმავლობაში გაუგზავნოს შემსრულებელს დასაბუთებული უარი სამუშაოების არადამაკმაყოფილებელ შესრულებაზე. თუ მიღება-ჩაბარების აქტი არ შესდგება კონტრაქტის მოქმედების დასრულებიდან ხუთი დღის განმავლობაში, საპროექტო სამუშაოები ჩაითვალოს შესრულებულად.

დამკვეთი ვალდებულია სამუშაოების ღირებულება გადაიხადოს სამუშაოების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისთანავე.

4. <u>მხარეთა პასუხისმგებლობა</u>

შემსრულებელი პასუხს აგებს სამუშაოს ხარისხიანად შესრულებაზე არსებული კანონმდებლობის მიხედვით. შემსრულებელი სამუშაოების არაჯეროვნად კანონთან შეუსაბამობაში შესრულების და 2011 წლის 05 ივლისს ჩაუბარებლობის შემთხვევაში იხდის ხელშეკრულების თანხის 10%-ს. გადაუხდელობისათვის დამკვეთის დაკისრება ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.5%.

5. <u>ანგარიშსწორების წესი</u>

ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშსწორებით.

6. <u>ხელშეკრულების ვადა</u>

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და სრულდება 2011 წლის 05 ივლისს.

7. <u>დამატებითი პირობები</u>

ერთ ერთი მხარის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში იგი მოვალეა აცნობოს ამის თაობაზე მეორე მხარეს დაუყოვნებლივ და წერილობით.

ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ან მასთან დაკავშირებული ყოველი დავა გადაწყდება მხარეთა შეთანხმების ან სასამართლო წესით. ხელშეკრულება დგება ორ პირად და ინახება მხარეებთან.

დამკვეთი: შპს „მშენებლობა პლუს პროფესიონალიზმი"

ს.კ. 205082550

დირექტორი: აკაკი მოსაშვილი

შემსრულებელი:

შპს „ინჟსერვისი-07"
საიდენტიფიკაციო კოდი 204534021
თბილისი, კრწანისის 55
სს "ლიბერთი ბანკი" (ცენტრალური ფილიალი 480)
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა: 360817965

დირექტორი: ვაჟა ძაგანია

ING SERVICE -07
ინჟსერვისი-07

შპს "ინჟსერვისი-07"

გაწეულ მომსახურეობაზე მიღება-ჩაბარების
ა ქ ტ ი

ქ. თბილისი __ _____ ____წ.

საპროექტო-საინჟინრო პროექტის ექსპერტიზის შესრულების შესახებ ერთის მხრივ, შპს "ინჟსერვისი-07", ს/კ-204534021, მისი დირექტორის ვაჟა ძაგანიას სახით და მეორეს მხრივ შპს „მშენებლობა პლუს პროფესიონალიზმი", ს/კ-205082550. დირექტორი აკაკი მოსაშვილი.

"დამკვეთმა" მიიღო, ხოლო "შემსრულებელმა" ჩააბარა ქ. თბილისში, ქარელის ქ. № 25 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული პროექტის ექსპერტიზული დასკვნა, მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

წინამდებარე აქტი სწორია, რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

დამკვეთი: შპს „მშენებლობა პლუს პროფესიონალიზმი"

ს.კ. 205082550

დირექტორი: აკაკი მოსაშვილი

შემსრულებელი:

შპს „ინჟსერვისი-07"
საიდენტიფიკაციო კოდი 204534021
თბილისი, კრწანისის 55
სს "ლიბერთი ბანკი" (ცენტრალური ფილიალი 480)
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა: 360817965
დირექტორი: ვაჟა ძაგანია